საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №628
2016 წლის 9 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №735 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №735 ბრძანებაში (ვებგვერდი, 30/09/2015, სარეგისტრაციო კოდი: 140130000.22.034.016472) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის:

ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, ასევე სხვა სამართალდამრღვევ პირთა ძებნა და დაკავება, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ამოუცნობი გვამების დასადგენად და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოსაძებნად;“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ზ^{1}) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კიბერდანაშაულის გამოძიება;“;

გ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფებების, ქურდული სამყაროს წევრობის, კანონიერი ქურდობისა და საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის პრევენცია, გამოვლენა და რეაგირება;“;

დ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{1}-თ^{4}“ ქვეპუნქტები:

„თ^{1}) კომპეტენციის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის პრევენცია, გამოვლენა და რეაგირება;

თ^{2}) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულის პრევენცია, გამოვლენა და რეაგირება;

თ^{3}) კომპეტენციის ფარგლებში უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება, შენახვა და შესაბამისი კომისიისათვის გასანადგურებლად წარდგენა;

თ^{4}) კომპეტენციის ფარგლებში არასრულწლოვანთა შორის ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **გიორგი მღებრიშვილი**